თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №56

28 დეკემბერი 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე

მუხლი 1.

განისაზღვროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავის ხარჯების ყოველთვიური ლიმიტები შემდეგი ოდენობით:

- მერი - 700 ლიტრი;
- პირველი მოადგილე - 400 ლიტრი;
- მოადგილე - 350 ლიტრი;
- მოადგილე - 350 ლიტრი;
- ადმინისტრაციული სამსახური - 500 ლიტრი;
- ზედამხედველობის სამსახური - 700 ლიტრი;
- ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური - 350 ლიტრი;
- სამხედრო აღრიცხვის სამსახური - 350 ლიტრი;
- საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური - 200 ლიტრი;
- სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახური - 200 ლიტრი;
- ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - 200 ლიტრი;
- ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური - 200 ლიტრი;
- ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების კომისია - 150 ლიტრი;
- მერის წარმომადგენლები - 1000 ლიტრი;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობებში, დაბა მანგლისისა და სოფელ კოდის საზოგადოებრივი ცენტრების უწყვეტი ელექტროენერგიის მომარაგების უზრუნველსაყოფად 200 ლიტრი (დიზელის საწვავი);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმრიცხველი მუდმივმოქმედი კომისია - 150 ლიტრი.

მუხლი 2.

განისაზღვროს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტები შემდეგი ოდენობით:

- მერი - 80 ლარი;
- მერის პირველი მოადგილე - 60 ლარი;
- მოადგილეები - 60 ლარი;
- მერის თანაშემწე - 20 ლარი;
- ადმინისტრაციული სამსახური - 130 ლარი;
- ზედამხედველობის სამსახური - 100 ლარი;
- ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური-120 ლარი
- საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური-120 ლარი;
- სამხედრო აღრიცხვის სამსახური-50 ლარი;
- ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - 75 ლარი;
- ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური -105 ლარი;
- სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახური - 100 ლარი;
- შიდა აუდიტის სამსახური - 80 ლარი;
- მერის წარმომადგენლები - 400 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები - 105 ლარი.

მუხლი 3.

განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის საწვავისა და სატელეფონო ხარჯების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრის შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N 107 განკარგულება.

მუხლი 4.

განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2018.12.31 12:59:54 +04'00'